

სამოქალაქო საზოგადოების ხედვა ამბიციურ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილზე (NDC)

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტისა და ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ანალიზი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტის, სახელმწიფოს მიერ ამ დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ანალიზს და სამოქალაქო საზოგადოების ხედვას ამბიციურ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილზე (NDC).

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტი კონცეპტუალური ხასიათის დოკუმენტია. დოკუმენტი ეფუძნება დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიას, თუმცა უზრუნველყოფილი არ არის კონკრეტული სამოქმედო გეგმით.

საქართველომ ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის დახმარებით მოამზადა და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს 2015 წლის 28 სექტემბერს წარუდგინა დოკუმენტი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) შესახებ;

აღნიშნული დოკუმენტი, გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მოლაპარაკებათა პროცესიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით პირველი ნებაყოფლობითი ვალდებულებაა. იგი საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო 2015 წლის პარიზის კონფერენციაზე მიღებული შეთანხმების შესასრულებლად, რათა მიღწეულ იქნას გლობალური საშუალო ტემპერატურის ზრდის 2°C -მდე შეზღუდვა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით და ტემპერატურის ზრდის $1,5^{\circ}\text{C}$ -მდე შეზღუდვის მცდელობა პრეინდუსტრულ დონესთან შედარებით.

საქართველომ პარიზის შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა 2017 წლის 8 მაისს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სათბურის გაზების ემისიის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა 1995 წელს და შეადგინა 8799 ათასი ტონა CO_2 -ის ექვივალენტი, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1990 წელს და შეადგინა 47,975 ათასი ტონა CO_2 -ის ექვივალენტი.

2011 წელს ემისიამ შეადგინა 16,036 ათასი ტონა CO_2 -ის ექვივალენტი, ანუ 1990 წლის დონის 34%.

საქართველოს მთავრობა, აცნობიერებს რა კლიმატის ცვლილების შერბილების აუცილებლობას და იმ ფაქტს, რომ არ ძალუძს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს, პოზიტიურად აფასებს საერთაშორისო მხარდაჭერას, კერძოდ:

- აშშ-ის მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია“;
- გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა INDC;
- გაეროს მხარდაჭერით მომზადდა ეროვნული შეტყობინებები და ორწლიური განახლებული ანგარიშები;
- და სხვა.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის INDC-ის დოკუმენტის მიხედვით აღებული „ნებაყოფლობითი ვალდებულებების“ ნაწილი უპირობოა და ქვეყანა თავის თავზე იღებს მის განხორციელებას, ხოლო ამ ვალდებულებათა ნაწილი - პირობითია. პირობითი ვალდებულება უფრო მეტად „განზრახვას“, სავარაუდოდ მისაღწევ დონეს გულისხმობს და გეგმავს:

ციტატა დოკუმენტიდან - 2030 წლისათვის უპირობოდ 15%-ით შემციროს თავისი „სათბურის გაზების“ ემისია „ტრადიციული ბიზნესის“ სცენარით განსაზღვრული მნიშვნელობის მიმართ. 2013 წლიდან 2030 წლამდე ემისიების ინტენსივობა მშპ-ს ერთეულზე შემცირდება 34%-ით. 15%-იანი შემცირების ვალდებულება გაიზრდება 25%-მდე, თუ ახალ ხელშეკრულებაში ასახული იქნება ისეთი ასპექტები, როგორცაა ტექნიკური მხარდაჭერა, წვდომა იაფ ფინანსურ რესურსებზე და ტექნოლოგიების გადაცემა.
ამ შემთხვევაში ემისიების ინტენსივობა მშპ-ს ერთ ერთეულზე 2013 წლიდან 2030 წლამდე შემცირდება 43%-ით. 25%-იანი შემცირება უზრუნველყოფს 2030 წლისათვის 40%-იან შემცირებას 1990 წლის დონის მიმართ.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC მიხედვით, 2020-2030 წ.წ. პერიოდისათვის, საქართველოს მიერ აღებული უპირობო (მხოლოდ საკუთარი რესურსებით) ვალდებულებებია:

- ღონისძიებები გატარდება ეკონომიკის ყველა სექტორში გარდა სექტორისა - „მიწათსარგებლობა, ცვლილებები მიწათსარგებლობაში და ტყეები“
- ძირითადი სამიზნე სექტორებია:
 - ენერჯეტიკა;
 - სამრეწველო პროცესები;
 - სოფლის მეურნეობა;
 - ნარჩენები.

იმავე დოკუმენტში საქართველოს მთავრობამ დასახა შემდეგი მიზნები:

- ემისიების შემცირების მიზნის მისაღწევად გატარდება კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკა;
- 2018-ში დაიწყო კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის „კლიმატი 2021-2030“ შემუშავება, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამართლებრივი ინსტრუმენტები, ქმედებები, მეთოდები და სხვა შესაბამისი საკითხები;
- საქართველოს „კლიმატი 2030“ მიზნის მისაღწევად საკანონმდებლო წინადადებების, ეროვნული პროგრამების და იურიდიულად სავალდებულო შიდა აქტების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მომავალისათვის დაგეგმილი, ევროპის ენერჯეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს წევრობა;
- 2020 წლამდე პერიოდში ქვეყანა იხელმძღვანელებს „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიაში“ რეკომენდებული ემისიების შემცირების ღონისძიებებით;
- 2020 წლამდე და 2030 წლამდე პერიოდებშიც განახორციელებს „პირველი ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებულ შემარბილებელ ღონისძიებებს;
- 2020 წლამდე და 2020 წლის შემდგომ პერიოდებშიც შექმნის ხელსაყრელ გარემოს „მერების შეთანხმების“ მონაწილე მუნიციპალიტეტების მხრიდან სათბურის გაზების ემისიის შემცირებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;

შეფასებები

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (INDC), როგორც გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მიმართ და კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით აღებული პირველი ნებაყოფლობითი ვალდებულება, უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

ამ დოკუმენტმა გამოიწვია არაერთი პოზიტიური შედეგი, ქმედებების გააქტიურება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ზოგადი სურათის გაუმჯობესების ტენდენცია.

დოკუმენტი გახდა ახალი ხედვებისა და მიდგომების, გლობალური პრობლემებისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და შედეგებზე ორიენტირებული კონკრეტული ქმედებების გენერირების საფუძველი.

პოზიტიურ ცვლილებათა ნათელი მაგალითია ეროვნულად განსაზღვრული წვლილის კლიმატის სამოქმედო გეგმაზე მიმდინარე სამუშაო პროცესი. მთავრობა მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება დასაგეგმი ღონისძიებების არგუმენტირებისა და მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი რესურსებისა და შესაძლებლობების შეფასებას.

დოკუმენტის ძირითადი ნაკლია ის, რომ:

- საქართველოს მიერ INDC დოკუმენტში დეკლარირებული სურვილები და დაპირებების დიდი ნაწილი 2019 წლამდე მხარდაჭერილი არ ყოფილა ადექვატური პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და შესაბამისი რესურსებით, რის გამოც მათი რეალიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ისიც დიდწილად დონორების დახმარებით.
- INDC დოკუმენტში სრულყოფილად არ განხორციელდა მთავრობის მიერ გაცხადებული დაპირება, რომ „საქართველოში ემისიების შემცირების მისაღწევად ტარდება კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკა“, კერძოდ:
 - 2016 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა ამოქმედებულიყო ახალი ტყის კოდექსი და მასთან დაკავშირებული ყველა კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოს პარლამენტს მხოლოდ პირველი მოსმენით აქვს მიღებული.
 - 2017 წლისათვის უნდა დასრულებულიყო სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემა (არ დასრულებულა);
 - 2018 წელს დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა „კლიმატი 2021-2030 წწ“ (ჯერ კიდევ შემუშავების პროცესში);
 - დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიისათვის (LEDC) მთავრობას დღემდე ოფიციალური სტატუსი არ მიუნიჭებია;
 - ქვეყანას 2020 წლამდე პერიოდში უნდა ეხელმძღვანელა „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიაში“ რეკომენდირებული ემისიების შემცირების ღონისძიებებით (ამ დოკუმენტის შესაძლებლობებისა და რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელია);
 - და სხვა.
- შეუსრულებელი რჩება ვალდებულება იმის თაობაზე, რომ საქართველო „გადადგამს ნაბიჯებს, რათა მიღწეულ იქნას საბაზისო სცენარიდან (ტრადიციული ბიზნესის შესატყვისი დონიდან) გაზომვადი, ანგარიშგებადი და შემოწმებადი გადახრა, მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი ფინანსებით, ტექნოლოგიებითა და პოტენციალის შექმნით“. ამ მიზნის რეალიზაციის უაღრესად დაბალი ტემპების გამო შეუძლებელია INDC დოკუმენტით აღებული ვალდებულებების, შესრულებული ან შეუსრულებელი პარამეტრების რაოდენობრივი შეფასება.


- ეროვნულ დონეზე (სფეროები, დარგები, ბიზნეს ობიექტები და სხვა) სათბურის აირების ემისიისა და შთანთქმის აღრიცხვა და დათვლა კანონმდებლობით არ არის სავალდებულო (არ არსებობს სათანადო საკანონმდებლო ბაზა), არ მიმდინარეობს ადგილობრივი სპეციალისტების მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობასთან დაკავშირებით ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს (<https://tenders.ge/tenders/5360/service-purchase-green-region.html>), მაგრამ მათში არაა შეტანილი სათბურის აირების ემისიების ინვენტარიზაციის შედეგები წლების მიხედვით, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველასათვის. ასეთი აღრიცხვა არ ხორციელდება არც ცენტრალურ, არც მუნიციპალურ დონეზე და არც ბიზნეს სუბიექტების მიხედვით.
- სათბურის აირების ემისიებზე მონიტორინგის სისტემის უმოქმედობის და საიმედო საწყისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო შეუძლებელი ხდება გეგმების ამბიციურობის და მიღწეული შედეგების შეფასება, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დადგენა-კორექტირება.
- და სხვა.

ეს მდგომარეობა ართულებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და გარდაუვალ შედეგებთან ადაპტაციის საქმეში საზოგადოებრივი სექტორის აქტიურად ჩართვას.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტის ამბიციურობის ანალიზი


მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რამდენიმე პოზიტიური შედეგისა, INDC დოკუმენტი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კლიმატის ცვლილების შერბილების პოტენციური სრულყოფილად არ არის შეფასებული, რაც საეჭვოს ხდის INDC-ის დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ამბიციურობას.

ემისიების ტრენდი წლების მიხედვით



ნახაზი #1. მოცემულ გრაფიკში შედარებულია ემისიების აბსოლუტური მაჩვენებლები. ცხადია, ეს არ იძლევა ემისიების ნათელ სურათს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებაში, მაგრამ აშკარაა, რომ დოკუმენტის ამბიციურობა არაა მაღალი ხარისხის.

მშპ და სათბური გაზების ემისიის ურთიერთმიმართება
საქართველოში 1993-2013 წწ



ნახაზი #2-ზე მოცემულია ემისიების (ათასი ტონა) და მშპ (100 მლნ. \$) ურთიერთდამოკიდებულება.

ამ შედარებიდან ჩანს, რომ ემისიების რაოდენობა თითქმის პარალელურად მიყვება ქვეყნის ეკონომიკას.

90-იანი წლებთან შედარებით (როცა ტექნოლოგიები მოძველებული და არაენერგოეფექტური იყო), თანამედროვე ეტაპზე ემისიების მრუდი კიდევ უფრო დაცილდა მშპ მრუდს მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ერთეულ პროდუქტში სათბურის აირების ემისიების ანალიზი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალური დოკუმენტების მიხედვით, 2014-2022 წლებისათვის, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ)-ს ზრდის ტემპები განსაზღვრულია შემდეგი ოდენობით:

წელი/მშპ პარამეტრები		მშპ (მლრდ აშშ \$)		ზრდის ტემპი %	
		დაგეგმილი	რეალური	დაგეგმილი	რეალური
1	2014		16,5		4,6
2	2015		14,0		2,9
3	2016		14,4		2,8
4	2017		15,1		4,8
5	2018		16,2		4,7
6	2019	16,88		4,5	
7	2020	18,28		5,0	
8	2021	19,8		5,5	
9	2022	21,7		6,0	

ამ დინამიკიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ 2020-2030 წლებისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, 5%-ის ფარგლებში შენარჩუნდება.

ოფიციალური მონაცემებით (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>) საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მაჩვენებლები იყო:

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	16,5	14,0	14,4	15,1	16,2	4,0

ამ მონაცემების მიხედვით, 2019 წლისათვის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში ნავარაუდევია 4.0 მლრდ. აშშ \$.


მშპ ზრდის ტემპის საშუალოდ 5%-ის შენარჩუნების შემთხვევაში, 11 წლიან პერიოდში ზრდის ჯამურმა პროცენტულმა მაჩვენებელმა უნდა მიაღწიოს 60%-ს,


შესაბამისად, 2030 წლისათვის მშპ-ის აბსოლუტური მაჩვენებელი იქნება:

4,0 მლრდ. აშშ \$ x 1.6 = 6,4 მლრდ. აშშ \$-ს.

შესაბამისად, 15%-იანი სცენარის შემთხვევაში, 100 მლნ. აშშ \$ მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების შედეგად ემიტირებული სათბურის აირების რაოდენობა არ ითვალისწინებს კლებას და თითქმის უცვლელია (ნახაზი 3), ხოლო 25%-იანი სცენარის შემთხვევაში კლება გათვალისწინებულია (ნახაზი 4), თუმცა ეს კლება ვერ ქმნის ამბიციურობის განცდას.

ნახაზი#3.





ემისიების შემცირების პოტენციალის სრულად ათვისებაში განსაკუთრებული ჩამორჩენა განახლებადი ენერჯიების გენერირებისა და ენერგოეფექტურობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, არაა დამტკიცებული „ენერგოეფექტურობის“ შესაბამისი მოთხოვნები, სტანდარტები და სხვა.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტში და ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) მზადების პროცესში ნათლად იგრძნობა, რომ მთავრობა მიზნის მიღწევას ცდილობს ერთეული მსხვილი პროექტების განხორციელების გზით და არ აპირებს საზოგადოების, შინამეურნეობებისა და თემების პოტენციალის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პროცესებში საზოგადოების აქტიურად ჩართვის და გლობალური დათბობის პროცესის შერბილებისათვის აქტივობების დინამიური განვითარების გარანტიებსა და შესაძლებლობებს.

კლიმატის ცვლილების სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობაა „მერების შეთანხმების“ მონაწილე მუნიციპალიტეტების აქტიურობა. INDC ითვალისწინებდა კიდევაც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სათანადო ხელსაყრელი პირობების შექმნას, რაც სრულად არ არის რეალიზებული.

„მერების შეთანხმების“ მონაწილე 23 მუნიციპალიტეტიდან სავალდებულო „მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმა“ შემუშავებული აქვს მხოლოდ 10-ს, ხოლო ამ გეგმის რეალიზაციის მონიტორინგს ახორციელებს არაუმეტეს 2-3 მუნიციპალიტეტისა.

აღნიშნული მიანიშნებს, რომ მერების შეთანხმებაში საქართველოს მუნიციპალიტეტების გაერთიანებას გარკვეულწილად კამპანიური ხასიათი ჰქონდა და მისი შემდგომი განვითარება შენედა, დამუხრუჭდა.

პრობლემების ერთერთი მიზეზია ქვეყანის ცენტრალური ხელისუფლების ჭარბი უფლებამოსილებები და დეცენტრალიზაციის პროცესის დაბალი ტემპი. ამის გამო მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში დიდია ცენტრიდან გადაცემული ტრანსფერის წილი და შესაბამისად მათ შეზღუდული აქვთ ამ რესურსების დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობები.

დიდ უმრავლესობაში არ არის ჩამოყალიბებული ადგილობრივი მდგრადი ენერჯეტიკული პოლიტიკა, არ შექმნილა შესაბამისი ინსტიტუციონალურ-მმართველობითი უნარები და სხვა.

კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით ტყე უმნიშვნელოვანესია.

ცნობილია, რომ საქართველოს ტყეები, გადაჭარბებული ჭრების გამო, წარმოადგენს სათბურის გაზების ემიტორ გარემოს.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის INDC დოკუმენტის შერბილების ნაწილში ტყე არ არის განხილული და მხოლოდ ადაპტაციის ნაწილშია წარმოდგენილი და ისიც დანართის სახით, რაც გაუგებარს ხდის ტყესთან დამოკიდებულებაში სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

ოფიცალური მონაცემებით, 2013-2018 წლებში გაშენდა 263,38 ჰა. ტყე. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის INDC უპირობო ვალდებულების მიხედვით 2030 წლამდე უნდა გაშენდეს 1500 ჰა. ტყე.

ტყის გაშენების დინამიკის მიხედვით მოსალოდნელია, რომ მთავრობა შეძლებს აღებული ვალდებულების შესრულებას, თუმცა ეს ვალდებულება სრულიადაც არ არის ამბიციური, რადგანაც 1990 წლამდე პერიოდში, როცა ტყის ლეგალური და არალეგალური ჭრების, სხვა სახის ანთროპოგენული ზემოქმედების მასშტაბები შეუდარებლად მცირე იყო, ამდენივე და უფრო მეტი (1500-2000 ჰა) ტყის გაშენება ხორციელდებოდა ყოველწლიურად.

ამ დოკუმენტის ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციები ვითხოვთ:

საქართველოს მიერ პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე, პრინციპულ დონესთან შედარებით, ტემპერატურის ზრდის 1.5°C-მდე შეზღუდვისათვის ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ის) დოკუმენტით დასახული მთავარი მიზანი უნდა იყოს NDC-ის 1.5^o-იანი სცენარის შესაბამისად სათბურის აირების შემცირების მიღწევა, რომელიც უფრო ამბიციურია, ვიდრე სამთავრობო დონეზე განხილვაში არსებული ყველა სხვა სცენარი და უფრო მეტად შეესაბამება საერთაშორისო შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს.

უპირობოდ შესრულდეს პარიზის შეთანხმებით აღებული ვალდებულება გლობალური დათბობის 2°C სცენარით განსაზღვრული შეზღუდვის მიღწევისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია (რეკომენდაციები):

პოლიტიკურ დონეზე:

- კლიმატის ცვლილების საკითხების რეგულირების ვალდებულებებმა გადაინაცვლოს უშუალოდ მთავრობის კომპეტენციაში;
- კლიმატის ცვლილების, მ.შ. NDC ვალდებულებებისა და დეკლარირებული პოზიციების რეალიზაციის მდგომარეობა საქართველოს მთავრობამ განიხილოს და შეაჯამოს ყოველწლიურად;
- NDC დოკუმენტი აყვანილი იქნეს „სტრატეგიული დოკუმენტის“ რანგში;
- ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ვალდებულებები, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტისაგან განსხვავებით, უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო სამოქმედო გეგმით, რესურსებით, აუცილებელი საკანონმდებლო ბაზით. დადგენილი იქნეს ვადები, აქტივობების განხორციელების მექანიზმები, გარანტიები, შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები და სხვა;

- კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე რეაგირების საქმეში საზოგადოების აქტიურად ჩართვის მიზნით NDC დოკუმენტი, აღებული ვალდებულებები და სამოქმედო გეგმა პოპულარულ ენაზე მიეწოდოს საზოგადოებას, მოეწყოს საჯარო განხილვები, ფართოდ გაშუქდეს საინფორმაციო საშუალებებში და გავრცელდეს ელექტრონული ფორმით;
- კლიმატის სამოქმედო გეგმაში აისახოს თითოეული ადამიანისა და ადამიანთა ჯგუფების ცნობიერების ამაღლებისა და პროცესებში მათი აქტიურად ჩართვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ეფექტური ღონისძიებები;
- კლიმატის სამოქმედო გეგმაში აისახოს პროცესებში ყველა მასშტაბის ბიზნეს სუბიექტის აქტიურად ჩართვისათვის აუცილებელი ეფექტური ღონისძიებები, უმოკლეს ვადებში შემუშავდეს და ამოქმედდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა;
- კლიმატის სამოქმედო გეგმაში აისახოს INDC დოკუმენტით აღებული და დღემდე შეუსრულებელი იმ ვალდებულების შესრულების გადამჭრელი ღონისძიებები, რომელიც შეეხებოდა მერების შეთანხმების მონაწილე მუნიციპალიტეტების ხელშეწყობას,

სექტორების მიხედვით:

ენერგეტიკის სფერო

მზის, ქარის და გეოთერმული ენერჯის ეფექტურად გამოყენებისათვის გადაიდგას გადამჭრელი ნაბიჯები ინვესტიციებისა და ოპერატორებისათვის საგადასახადო ტვირთის მკვეთრად შემსუბუქებისა და სხვა საკანონმდებლო გარანტიების გაცემის მიზნით;

- ❖ პრინციპული და კონცეპტუალური ცვლილებები შევიდეს კანონპროექტში „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ იმ თვალსაზრისით, რომ საკანონმდებლო დონეზე სათანადო ყურადღება დაეთმოს და თანაბრად წახალისდეს განახლებადი ენერჯიების გენერირება ყველა შესაძლო წყაროდან;
- ❖ მკვეთრად გაუმჯობესდეს და გამარტივდეს განახლებადი ენერჯის ინდივიდუალური წყაროების ენერგოგადაცემის ქსელში ინტეგრირების შესაძლებლობები;
- ❖ მორალურად და მატერიალურად წახალისდეს ინდივიდუალურ და შიდამეურნეობების დონეზე მიკრო სიმძლავრის (მზის, ქარის, ბიომასის ხარჯზე) ენერჯის გენერირების ყოველი ფაქტი;
- ❖ დაიგეგმოს და განხორციელდეს გადამჭრელი ღონისძიებები ქვეყნის გეოთერმული პოტენციალის ეფექტურად და მდგრადი პრინციპების დაცვით გამოყენების მიზნით;
- ❖ ამოქმედდეს მორალური და მატერიალური სტიმულირების მექანიზმები ენერჯის გენერირებისა და მოხმარების პროცესებში ემისიების შემცირების მიზნით;
- ❖ დაიგეგმოს და ეტაპობრივად განხორციელდეს ღონისძიებები მზის, ქარის, ბიომასისა და სხვა განახლებადი ენერჯიების ათვისების თანამედროვე ტექნოლოგიების ქვეყნის შიგნით განვითარებისა და ხელმისაწვდომობის მიზნით.

შენიშვნები და ენერგოეფექტურობა

- ❖ უმოკლეს ვადებში მიღებული იქნას საქართველოს კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და კანონპროექტში ასახული ადმინისტრირების მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩანაცვლდეს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის, ენერჯის დაზოგვისა და ეფექტურად გამოყენების წამახალისებელი ეკონომიური, ფინანსური და მორალური მხარდამჭერი მექანიზმებით;
- ❖ შემუშავდეს და ამოქმედდეს არსებულთან შედარებით მეტად ამბიციური „ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომლის მიზნის მიღწევაც დაფუძნებული იქნება არა მხოლოდ ადმინისტრირებისა და საჯარიმო მექანიზმებზე, არამედ მხარდამჭერ და წამახალისებელ ღონისძიებებზე;
- ❖ ენერგოეფექტურობის ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღება განხორციელდეს საჯარო განხილვებისა და პროცესებში საზოგადოების აქტიურად ჩართვის გზით;
- ❖ ხელი შეეწყოს მიზნობრივი ფონდის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგოეფექტურობის დონის მკვეთრ გაუმჯობესებას;
- ❖ უმოკლეს ვადებში მომზადდეს და განხორციელდეს საქართველოს სინამდვილისათვის შესაბამისი არანაკლებ 10-წლიანი კამპანია (რომელიც არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს) ენერგოეფექტურობისა და ენერჯის მომჭირნეობით ხარჯვის, ენერგოეფექტური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების უპირატესი გამოყენების მორალური და მატერიალური სტიმულირების მიზნით (ისეთი, როგორცაა Energy Star და სხვა).

ტრანსპორტი

საქართველოს მასშტაბით, სატრანსპორტო სფერო ერთერთი მსხვილი ემიტორია და მიგვაჩნია, რომ ამ სფეროში უხეშად ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული და აუცილებელი პრინციპები: „ვინც მოიხმარს, ის იხდის“ („user pays“) და „ვინც აბინძურებს, ის იხდის“ („polluter pays“). მიგვაჩნია, რომ:

- ❖ საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკა, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა ასახავდეს ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკის (Brussels, 28.3.2011 COM(2011) 144 final) პრინციპებს და ორიენტირებული უნდა იყოს მაქსიმალურ ეკონომიკურ ზრდაზე გარემოზე მინიმალური ნეგატიური გავლენის პირობებში;
- ❖ სატრანსპორტო დარგისათვის, ისევე როგორც სხვა სფეროებისათვის შეფასდეს ემისიების არსებული დონე (მაჩვენებელი) და დაისახოს მისი ეტაპობრივად შემცირების ეფექტური ღონისძიებები;
- ❖ საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკა და დასახული მიზნები გასაგები და ნათელი უნდა იყოს საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორისათვის;
- ❖ სატრანსპორტო სფერო უნდა მოიხმაროს უფრო ნაკლები და ეკოლოგიურად სუფთა ენერგომოტარებლები, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს თანამედროვე ინფრასტრუქტურა, შეამციროს თავისი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე;

- ❖ უნდა განვითარდეს ეკოლოგიურად სუფთა საქალაქო ტრანსპორტი და საგარეუბნო მიმოსვლა, საფეხმავლო და ველოსიპედით გადაადგილების, აგრეთვე, ახალი სახეობის სატრანსპორტო საშუალებებისათვის შესაბამისი საწვავით გაწყობის/ენერჯით დამუხტვის ინფრასტრუქტურა;
- ❖ დაჩქარდეს ჩქაროსნული დერეფნების განვითარება და მიღწეული იქნას, რომ ეკონომიურად გაუმართლებელი გახდეს მგზავრთა და მცირე ტვირთების შორ მანძილებზე ინდივიდუალური გადაზიდვების პრაქტიკა;
- ❖ განვითარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა;
- ❖ გაძლიერდეს პირადი მოხმარებისათვის მცირე სიმძლავრის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების წამახალისებელი მექანიზმები და პირიქით, გამკაცრდეს ადმინისტრაციული და ეკონომიური მექანიზმები ამავე მიზნით მაღალი სიმძლავრის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შესაზღუდად;
- ❖ განხორციელდეს სამგზავრო სარკინიგზო ტრანსპორტის (რკინიგზა, მეტრო) რეაბილიტაცია/განვითარება;

ნარჩენები

- ❖ დაჩქარებული ტემპებითა და სრულყოფილად განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსის ამოქმედება;
- ❖ სრულყოფილად ამოქმედდეს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტები ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩასაშვებ დამაბინძურებელ ნივთიერებათა რეგლამენტირების შესახებ;
- ❖ ქვეყანაში არსებული ყველა საკანალიზაციო ქსელისათვის მოგვარდეს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების/ მშენებლობის პროცესი და მათ ბაზაზე განხორციელდეს მეთანის ჩაჭერა და გამოყენება;
- ❖ მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელიდან განხორციელდეს მეთანის ამოღება და გამოყენება;
- ❖ დაიგეგმოს და განხორციელდეს ღონისძიებები კომპოსტირებისა და მის ბაზაზე მეთანის ამოღება - გამოყენების (უტილიზაციის) პროცესის დასაჩქარებლად;
- ❖ ხელი შეეწყოს საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების საქმეში საზოგადოების აქტიურად ჩართვას.

სოფლის მეურნეობა - მიწათმოქმედება

პოსტსაბჭოურ პერიოდში სასოფლო სამეურნეო სავარგულების პრივატიზაციის შედეგად მოხდა როგორც სახნავი, ასევე სხვა მიწების მცირეკონტურიან ნაკვეთებად დანაწილება, რამაც გაართულა და ენერგოტევადი გახადა მათი დამუშავება, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსავლიანობა და მცირეკონტურიანი ნაკვეთებიდან უკუგება, გაზარდა პროდუქტის თვითღირებულება. ეს პრობლემა აქტუალურია დღესაც, რადგან დაბალი ტემპებით მიმდინარეობს კოოპერირება და ნაკვეთების გაერთიანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, NDC-ის დოკუმენტში დაგეგმილი ღონისძიებების გარდა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ❖ დაიგეგმოს და განხორციელდეს ფართომასშტაბიანი ღონისძიებები საბჭოური „კოლმეურნეობებისა“ და „საბჭოთა მეურნეობების“ ნეგატიური გამოცდილების გამო კოოპერირების მიმართ საზოგადოებაში არსებული უნდობლობის ფაქტორის დასაძლევად;
- ❖ ხელი შეეწყოს ფერმერთა კოოპერირების სისტემის განვითარებას და ამ გზით სასოფლო სამეურნეო სავარგულების გაერთიანებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ენერგორესურსების ხარჯვას და გაზრდის მოსავლიანობას;
- ❖ დაიგეგმოს და განხორციელდეს ღონისძიებები მოძველებული ტექნიკის ახლით ეტაპობრივად ჩანაცვლების პროცესის დასასრულებლად;
- ❖ განხორციელდეს კლიმატის ცვლილების გარდაუვალ შედეგებთან მიწათმოქმედების და მეცხოველეობის შეგუების ის ღონისძიებები, რომლებიც რეგიონალურ ჭრილშია განსაზღვრული ეროვნული შეტყობინებებით;
- ❖ დაიგეგმოს და განხორციელდეს მეცხოველეობის ნარჩენების ანაერობული ტექნოლოგიების დანერგვის მხარდამჭერი (მაგ, ბიოგაზის დანადგარები) ღონისძიებები;

ტყე

ტყე, როგორც საქართველოს უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი გარემო, უნდა გახდეს სახელმწიფო მზრუნველობის პრიორიტეტული და განსაკუთრებული სფერო, რისთვისაც:

- ❖ უმოკლეს ვადაში მიღებულ იქნას ტყის შენარჩუნებასა და მისი დეგრადაციის შეჩერებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზა;
- ❖ შემუშავდეს და სახალხო განხილვის გზით მიღებულ იქნას ტყის მოვლასა და აღდგენაზე ორიენტირებული რეგიონალური სახელმწიფო პროგრამები;
- ❖ მინიმუმამდე დავიდეს ტყის რესურსული პოტენციალისათვის სრულიად შეუსაბამო სოციალური და ენერგეტიკული ტვირთი;
- ❖ მკვეთრად გაუმჯობესდეს სატყეო დარგის საკადრო პოლიტიკა და უარი ითქვას ამ სფეროში არაპროფესიონალების დასაქმების მავნე პრაქტიკაზე;
- ❖ რადიკალურად გაიზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტყის მოვლისა და აღდგენის დაფინანსება;
- ❖ გაგრძელდეს და გააქტიურდეს ტყის მასივებისათვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების პროცესი;
- ❖ გაძლიერდეს მონიტორინგი დაცული ტერიტორიების, მათ შორის დაცული ტყეების მდგომარეობაზე იმ მიზნით, რომ შეჩერდეს არასათანადო მენეჯმენტისა და ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად გამოწვეული დეგრადაციის პროცესი.

რეკომენდაციები NDC პროცესში დაინტერესებულ პირთა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მთავრობის მონაწილეობის გაძლიერებისათვის.

საქართველოში, კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებით არაერთი პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივითა და ორგანიზებით, თუმცა ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი შედეგის მიწვევა, რადგანაც მათი და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა არ არის კოორდინირებული.

ხშირ შემთხვევაში, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით, ხელისუფლების პოზიციები პასიური და გაუბედავია, რაც ამცირებს მათი თანამშრომლობის შესაძლებლობებს. სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია გაძლიერდეს თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

სახელმწიფო სტრუქტურებმა უარყონ „პრივილეგირებულ“ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მისცენ საშუალება აქტიურად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე სახელმწიფო ვალდებულებებისა და გეგმების შემუშავების პროცესში, დაუბრკოლებლად განახორციელოს მონიტორინგი გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესზე;

ამ მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ❖ მკვეთრად გაუმჯობესდეს კლიმატის ცვლილების საკითხებზე სახელმწიფოს გეგმებსა და აქტივობებზე საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის სისტემის ყველა რგოლი - ადრეული ეტაპიდან დაწყებული და შედეგების მონიტორინგით დამთავრებული;
- ❖ დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი სექტორის უწყვეტი კომუნიკაციის სისტემა, ყურადღებისა და რეაგირების გარეშე არ დარჩეს სამოქალაქო საზოგადოების არცერთი მცდელობა - აქტიურად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების საკითხებში;
- ❖ სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების მხარდასაჭერად, რისთვისაც აქტიურად გამოიყენოს ყველა სახის საინფორმაციო საშუალება, განსაკუთრებით კი სატელევიზიო სივრცე, როგორც რეგიონებში ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური საშუალება;
- ❖ გაფართოვდეს ინფორმაციის გავრცელების „დაიჯესტის“ ფორმატი და საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე;
- ❖ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში ფორმალურად არსებული კლიმატის ცვლილების ოფიციალური სტრუქტურების გააქტიურებას, ცენტრალურმა ხელისუფლებამ აქტიურად გამოიყენოს მათი შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ საქმეში რეგიონის მოსახლეობის ჩართვის შესაძლებლობებს;
- ❖ ხელისუფლებამ მეტი დრო და რესურსები დაუთმოს კონსტიტუციური ნორმის შესრულებას და საზოგადოებას სისტემატიურად მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მათი საარსებო გარემოს მდგომარეობის, კლიმატის ცვლილებით უკვე გამოწვეული ნეგატიური შედეგებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;
- ❖ მკვეთრად გაიზარდოს ამჟამინდელი მიზერული საბიუჯეტო დაფინანსება კლიმატის გლობალური ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლებისა და მათი ინფორმირებულობის გასაზრდელად;

დოკუმენტის ხელმოწერები:

1. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო;
2. ენერგოეფექტურობის ცენტრი - საქართველო;
3. კავშირი მდგრადი განვითარებისთვის - ეკოხედვა / EcoVision;
4. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის / WEG;
5. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი / CENN;
6. მწვანე რეგიონები;
7. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო;
8. სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი - ნაკრესი;
9. ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი;
10. ექსპერტთა კავშირი „მდგრადი ენერჯია და გარემო“;
11. სითი ინსტიტუტი საქართველო;
12. ქალები საერთო მომავლისთვის - საქართველო / WECF Georgia;
13. სოფლად თემთა განვითარების სააგენტო;
14. საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი;
15. ქალები ქვეყნის მომავლისათვის;
16. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია“;
17. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“;
18. ასოციაცია „დეა“;
19. პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო“;
20. საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის;
21. ასოციაცია "ქალი და განვითარება“;
22. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი “თაობათა დიალოგი“;
23. ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი;
24. საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია;

25. ჰაზ ჯორჯია;
26. ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი;
27. კოდის სათემო განათლების ცენტრი;
28. საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (საგა);
29. ა(ა)იპ „კახეთი“;
30. საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი;
31. ახალსოფლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი;
32. რადიო „ძველი ქალაქი“;
33. ქუთაისის ქალთა კლუბი;
34. ახალციხის საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი;
35. თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი;
36. ბოლნისის ენის სახლი;
37. მოძრაობა საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის;
38. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი / REC